# ანალიტიკური საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტი

## პროექტის სახელწოდება

**განვითარებული პოლიტიკური პარტიები - გაუმჯობესებული საარჩევნო გარემო**

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

AIDI

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# საგრანტო კონკურსის თემატიკა

## პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა

**პროექტის განხორციელების პერიოდი:**
**01 მაისი 31 აგვისტო**

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

AIDI

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

# პროექტის მიზანი:

- პროექტის მიზანი გახლდათ საქართველოში მოქმედი (როგორც კვალიფიციური, ასევე არაკვალიფიციური) პოლიტიკურ პარტიებისათვის, ტრენინგკურსების საშუალებით ინფორმაციის მიწოდება, 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ საარჩევნო სუბიექტებისთვის საკანონმდებლო და სამოქმედო ჩარჩოების გაცნობა, ტრენინგ–სემინარების ჩატარება, არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური ორგანიზაციის წევრებისთვის მაქსიმალური ინფორმაციის გადაცემა და ცოდნის გაღრმავება, ყველა იმ გამოწვევის ირგვლივ, რომელიც დაკავშირებულია არჩევნებთან და საარჩევნო პროცედურებთან.

# პროექტის განხორციელების არეალი გახლდათ მცხეთა–მთიანეთის რეგიონი

- ტრენინგები მიმდინარეობდა ბორჯომში (ლიკანი რ.ვეფხვაძის 20) სასტუმრო ,,ნატალიში“.



# პროექტში მონაწილეობას იღებდა 23 პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელთაგანაც 15 გახლდათ კვალიფიციური სუბიექტი, ხოლო 8 არაკვალიფიციური.

- კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები:
- საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა, ახალი საქართველო, ახალი ქრისტიან დემოკრატები, დემოკრატიული მოძრაობა–ერთიანი საქართველო, ეროვნულ დემოკრატიული პარტია, ევროპული საქართველო (8 წარმომადგენელი), თავისუფალი დემოკრატები, თავისუფალი საქართველო, თავისუფლება ზვიად გამსახურდიას გზა, ლეიბორისტული პარტია, მოძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი (8 წარმომადგენელი), ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო (8 წარმომადგენელი), ქრისტიან დემოკრატიული მოძრაობა.
- არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიები:
- ახალი მემარჯვენეები, ევროპელი დემოკრატები, საქართველო, პროგრესულ დემოკრატიული მოძრაობა, ქართული დასი, თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის, მემარცხენე ალიანსი, საქართველოს მშვიდობისათვის.

# საერთო ჯამში პროექტში მონაწილეობა მიიღო 104–მა ბენეფიციარმა

- 72 მონაწილე გახლდათ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი მათ შორის (45 ქალი და 27 კაცი)
- 32 მონაწილე გახლდათ არაკვალიფიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი (22 ქალი და 10 კაცი)
- სულ პროექტში მონაწილეობდა 67 ქალი და 37 კაცი.

# პროექტის ამოცანებიდან გამომდინარე პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა გაიარეს სატრენინგო კურსი შემდეგ საკითხებზე:

- პოლიტიკური პარტიების სტრუქტურა, მენეჯმენტი (საერთაშორისო პრაქტიკა და უფლებრივი მდგომარეობა,
- პოლიტიკური კულტურა არჩევნებში, დებატები და საარჩევნო ეთიკა (პროფესიული ეთიკური სტანდარტები, დაკომუნიკაცია საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებთან),
- პარტიებისა და კანდიდატების თანაბარი შესაძლებლობები საარჩევნო პროცესში,
- საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები,
- პარტიის როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაში,
- ქალთა მონაწილეობის გაზრდის შიდა პარტიული მექანიზმები,
- პერსონალისა და მოხალისეების მართვა,
- ამომრჩეველთა სიები, ფორმირების წესი.
- დამატებით სწავლების ცენტრის მხრიდან კონტრიბუციის სახით ჩატარდა ტრენინგები თემებზე: საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის წესი, არჩევნების ორგანიზება (საარჩევნო ციკლი) და კენჭისყრის დღე;
- საჩივრის/განცხადების შედგენის საფუძველი და ტექნიკა.

პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის მომზადდა საინფრომაციო და სატრენინგო მასალები, შეიქმნა და დაიბეჭდა სახელმძღვანელოები, ბლოკნოტები, საწერი კალმები, ბანერი, სერთიფიკატები.















## პროექტის დაწყებისთანავე მიმდინარეობდა ინტენსიური შეხვედრები და კონსულტაციები პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელ პირებთან ტრენინგში მონაწილეთა წინასწარი რეგისტრაციის თვალსაზრისით.

- 21 ივნისს პირველი ჯგუფი გაემგზავრა ლიკანში სადაც მიმდინარეობდა ტრენინგები 25 ივნისის ჩათვლით, გრაფიკის შესაბამისად სულ 21 მონაწილე.







26 ივნისს  მეორე ჯგუფი გაემგზავრა ლიკანში, ტრენინგები მიმდინარეობდა 30 ივნისის ჩათვლით, სულ 21 მონაწილე.







1 ივლისს მესამე ჯგუფი გაემგზავრა ლიკანში, ტრენინგები მიმდინარეობდა 5 ივლისის ჩათვლით, სულ 21 მონაწილე.







6 ივლისს მეოთხე ჯგუფი გაემგზავრა ლიკანში, ტრენინგები მიმდინარეობდა 10 ივლისის ჩათვლით, სულ20 მონაწილე.







11 ივლისს მეხუთე ჯგუფი გაემგზავრა ლიკანში, ტრენინგები მიმდინარეობდა 15 ივლისის ჩათვლით, სულ 21 მონაწილე.







## თითოეულ მონაწილეს გადაეცა საწერი კალამი, ბლოკნოტი, სახელმძღვანელო და სერთიფიკატი.

მონაწილეებს ტრენინგების პირველ დღეს ჩაუტარდათ პრეტესტი, ხოლო ბოლო დღეს პოსტ ტესტი, საწყის ტესტსა და საბოლოო ტესტს შორის დაფიქსირდა ინფორმაციის აღქმის საგრძნობი ზრდა, ამაღლდა ცნობიერების დონე.

ტრენინგის მიმდინარეობისას გამოყენებულ იქნა პრაქტიკული სავარჯიშოები, გუნდური მუშაობა, ენერჯაიზერები, პრეზენტაციები, კითხვა პასუხის რეჟიმი.

მონაწილეებმა შეავსეს შეფასების ბლანკები

ყველა მონაწილემ აღნიშნა, რომ ტრენინგი იყო ინფორმაციული, ორგანიზებული და ნაყოფიერი.





# კითხვაზე თუ რომელი იყო ყველაზე ძლიერი მოდული? პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა:

9% –პოლიტიკური პარტიების სტრუქტურა, მენეჯმენტი

11% –პოლიტიკური კულტურა არჩევნებში, დებატები და საარჩევნო ეთიკა

13% – პარტიების და კანდიდატების თანაბარი შესაძლებლობები საარჩევნო პროცესებში

8% – საზოგადოებასთან ურთიერთობის მექანიზმები

15% – პარტიის როლი უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფაში

16% – ქალთა მონაწილეობის გაზრდის შიდა პარტიული მექანიზმები

9% – პერსონალისა და მოხალისეების მართვა

19% ამომრჩეველთა სიები, ფორმირების წესი

# მადლობა ყურადღებისთვის

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი

AIDI

ცესკო

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია